ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4510467

ნომერი: AR1681751

თარიღი : 16.05.2019

გაცემის თარიღი : 22.05.2019

გაცნობის თარიღი : 23.05.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, N 80;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელგუჯა პატაშური პ/ნ 01011043635
- კობარეთის 71

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 16 მაისის #AR1681751 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ 2016 წლის 1 მარტის

№2433114 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას. პასუხად გაცნობებთ,

რომ საკადასტრო გეგმით № 01.19.21.002.351 მიწის ნაკვეთზე სამსახურის მიერ ადმინისტრაციული და სასაწყობე ნაგებობა, (დამხმარე, ტექნიკური) ასაშენებლად 2016 წლის 1 მარტის №2433114 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2016 წლის 27 ივნისის №2675632 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოთ აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, მოხდა მიწის ნაკვეთის ფართის მონაცემების ცვლილება.
2016 წლის 18 აგვისტოს №2777015 ბრძანებით, შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ვინაიდან, AR1681751 განაცხადით ითხოვთ ახალი შენობის განთავსებას, საჭიროა ასეთი ნაკვეთისთვის ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების (გაპი) დამტკიცება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; რისთვისაც შესაბამისი მოთხოვნით საკითხი დაყენებული უნდა იქნას ნომენკლატურით - „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები • მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა“.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს 2019 წლის 16 მაისის AR1681751 განცხადება.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.